საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №73

2016 წლის 06 სექტემბერი
ქ. ბათუმი

ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ივლისის №54 დადგენილებით ბსუ-ში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“, საკონკურსო კომისიის 2016 წლის 02 სექტემბრის №5 ოქმების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ივლისს №54 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი, კერძოდ კონკურსის შედეგად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, კლინიკური ქირურგიის დარგობრივ დეპარტამენტში ქირურგიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ არჩეული იქნას კახაბერ ქაშიბაძე;

2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2016 წლის 12 სექტემბრამდე;

3. საკონკურსო მასალები საკონკურსო-საპროცედურო კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცეს ბსუ-ს არქივს;

4. წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს;

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი — მერაბ ხალვაში